news.ge

მედიაკიტი · 2026

სარეკლამო შესაძლებლობები

თქვენი ბრენდი — ახალი ამბის კონტექსტში.


პარტნიორული ნიუსები, თემატური სპონსორობა და ხმოვანი AI ფორმატები news.ge-ზე — პირველ AI ინტერნეტმედია პლატფორმაზე. ამ დოკუმენტში ნახავთ ყველა ფორმატს, ფასს და იმას, თუ როგორ მუშაობს თითოეული.

სარეკლამო ნიუსი

კატეგორიის სპონსორობა

ხმოვანი AI ასისტენტი

მოსაუბრე ვიდეოავატარი



contact@news.ge
+995 550 00 30 36
news.ge/advertise

ფასები აქტუალურია 2026 წლის 21 ოქტომბრის მდგომარეობით
ყველა ფასი ლარშია, დღგ-ს ჩათვლით

ახალი ამბები და ხელოვნური ინტელექტი — ერთ სივრცეში

news.ge ქართული მედიის ახალ ამბებს ერთ ნაკადში აგროვებს და მკითხველს თანამედროვე ინსტრუმენტებს სთავაზობს: ნებისმიერ თემაზე შეუძლია ხმით ესაუბროს AI ასისტენტს, ნახოს, როგორ აშუქებს ერთსა და იმავე ამბავს სხვადასხვა მედია, მოუსმინოს დღის ერთწუთიან მიმოხილვას ან თავად ჩაერთოს პირდაპირ ეთერში.

რეკლამისთვის ეს ნიშნავს ორ რამეს: თქვენი მასალა აქტიური, ყოველდღიურად განახლებადი კონტენტის გვერდით ჩნდება, ხოლო AI ფორმატები საშუალებას გაძლევთ, მკითხველს უბრალოდ კი არ აჩვენოთ ბრენდი, არამედ **ესაუბროთ**.



440+
ახალი ამბავი დღეში (ბოლო 30 დღის საშუალო)

140K+
გამომწერი News.Ge-ის Facebook გვერდზე

18
მედიაწყარო ერთ ნაკადში, 24/7 განახლებით

300K+
სტატია არქივში, 2020 წლიდან

რას ნახავს მკითხველი news.ge-ზე

ხმოვანი AI ასისტენტი
ნებისმიერ ნიუსზე მკითხველს შეუძლია ხმით ესაუბროს ასისტენტს — ვიდეოავატარით ან მის გარეშე.

დღის მთავარი თემა
დღის ყველაზე განხილული ამბავი და ის, თუ როგორ აშუქებს მას სხვადასხვა მედია.

დღის მიმოხილვა ერთ წუთში
მთავარი ამბების ხმოვანი შეჯამება ყოველდღე 13:00-სა და 22:00-ზე.

ნაკადი
მობილური კითხვის რეჟიმი: თითო ამბავი მთელ ეკრანზე, ანიმაციური ბარათებით.

AI დებატები და ინტერვიუები
ხელოვნური ინტელექტის მოდერირებული დებატები და სატელეფონო ინტერვიუები.

დღის ქრონიკა და ციტატები
ამბების ქრონოლოგია, დღის ციტატა და რუბრიკა „ვინ სდუმს?".

რატომ news.ge

01

სწორი კონტექსტი
თქვენი მასალა ახალი ამბების გვერდით და თქვენთვის სასურველ თემატურ კატეგორიაში ჩნდება — იქ, სადაც აუდიტორია ამ თემით უკვე დაინტერესებულია.

02

გამჭვირვალობა
ყველა სარეკლამო მასალა მკაფიოდ არის მონიშნული. მკითხველმა იცის, რას კითხულობს — და ეს ბრენდის მიმართ ნდობას ზრდის.

03

ახალი ფორმატები
ხმოვანი ასისტენტი და მოსაუბრე ვიდეოავატარი — ფორმატები, რომლებიც ბრენდს მკითხველთან ცოცხალი საუბრის საშუალებას აძლევს.

მკითხველი, რომელიც აზრს აყალიბებს

news.ge-ის ინსტრუმენტები — ციტატების ანალიზი, მედიის პოლარიზაციის ინდექსი, პოლიტიკოსების პროფილები და ამბების ქრონიკა — შექმნილია მათთვის, ვინც პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებს პროფესიულად ადევნებს თვალს. ამიტომ საიტის მომხმარებლებს შორის არიან **პოლიტიკოსები, ანალიტიკოსები, ჟურნალისტები და ექსპერტები**.

269
პოლიტიკოსისა და საჯარო პირის პროფილი

12 000+
ციტატა ანალიზით: ვინ, რა და როდის თქვა

66
ორგანიზაციის პროფილი და ქრონიკა

18
მედიაწყარო — ყველა პოლიტიკური ხედვით

ვინ იყენებს news.ge-ს და რატომ

01 პოლიტიკოსები და მათი გუნდები
ხედავენ, როგორ აშუქებს მათ და მათ ოპონენტებს სხვადასხვა მედია — და რას ამბობდნენ ადრე, რას ამბობენ ახლა.
პიროვნების პროფილი · ციტატები · დღის თემა

02 ანალიტიკოსები და ექსპერტები
პოლარიზაციის ინდექსი, დღის ქრონიკა და „ვინ სდუმს?“ — მზა მასალა ტენდენციების შესაფასებლად.
პოლარიზაციის ინდექსი · ქრონიკა

03 ჟურნალისტები და რედაქტორები
18 მედიაწყარო ერთ ნაკადში, ერთი ამბავი სხვადასხვა ხედვით და 300 000-ზე მეტი სტატიის არქივი.
ნაკადი · არქივი · ფაქტჩეკერი

04 PR და კომუნიკაციის სპეციალისტები
კომპანიისა თუ საჯარო პირის ხსენებები: როდის, რომელ მედიაში და რა კონტექსტში.
ორგანიზაციის ქრონიკა · ციტატები

05 საჯარო სექტორი და ბიზნესის ლიდერები
დღის მთავარი ამბები ერთ წუთში და ხმოვანი ასისტენტი, რომელიც ნებისმიერ თემაზე სწრაფად აწვდის კონტექსტს.
დღის მიმოხილვა · AI ასისტენტი

06 აქტიური მოქალაქეები
ვირტუალური მთავრობა, სახალხო ამბები, ჩატი და პირდაპირი ეთერი — საზოგადოებრივ პროცესებში ჩართვა.
ვირტუალური მთავრობა · სახალხო ამბები

რას ნიშნავს ეს დამკვეთისთვის

თქვენი შეტყობინება აღწევს მათამდე, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს და საზოგადოებრივ აზრს აყალიბებს — აუდიტორიამდე, რომელსაც მასობრივ არხებში იშვიათად შეხვდებით.

განსაკუთრებით ეფექტურია

- ბანკები და ფინანსები
- ტელეკომი და ტექნოლოგიები
- რეპუტაცია და GR
- კონსალტინგი და იურიდიული
- განათლება და კვლევა
- კონფერენციები

ერთი მასალა — რამდენიმე ადგილას

სარეკლამო ნიუსი ცალკე, ერთ გვერდზე კი არ იკარგება — ის ავტომატურად ჩნდება საიტის რამდენიმე მნიშვნელოვან ადგილას. სპონსორობის პაკეტებს ამას ემატება ბანერი და AI ასისტენტის მიერ სპონსორის ხსენება.



სქემატური გამოსახულება. ზუსტი განლაგება ეკრანის ზომის მიხედვით იცვლება.

რიგითობა: სარეკლამო სტატიები ქვეყნდება უახლესიდან ძველისკენ — ახალი მასალა ყოველთვის სიის თავში ჩნდება. ამიტომ თვიურ პაკეტებში ნიუსების თანაბრად გადანაწილება თვის განმავლობაში ხილვადობას მუდმივს ხდის.

1 მთავარი გვერდი — ყველა პაკეტი

ბლოკი „სარეკლამო სტატიები“ — ფოტო, სათაური და მოკლე ტექსტი. კომპიუტერზე ჩანს 4 მასალა, პლანშეტზე 6, ღილაკით „მეტის ჩვენება“ — დანარჩენიც.

2 ყველა ნიუსის გვერდი — ყველა პაკეტი

გვერდით სვეტში, „ახლა კითხულობენ“ ბლოკის ქვეშ — 3 უახლესი სარეკლამო სტატია. ეს ათასობით ნიუსის გვერდია, ყოველდღე ახლით.

3 არქივის სტატიები — ყველა პაკეტი

300 000-ზე მეტი არქივის სტატიის გვერდზეც ჩანს 3 სარეკლამო სტატია — დამატებითი ხილვადობა ძველ მასალებზეც.

4 ნაკადი (მობილური) — ყველა პაკეტი

სრულეკრანიან მობილურ კითხვის რეჟიმში სარეკლამო სტატია მე-7 ბარათად ჩნდება, შემდეგ კი — ყოველ მე-13 ბარათზე.

5 კატეგორიის ბანერი — მხოლოდ სპონსორი

კატეგორიის გვერდზე და ამ კატეგორიის ყველა ნიუსზე, ქვედა მარჯვენა კუთხეში. ერთ კატეგორიაში მხოლოდ ერთი ბანერია — ის ექსკლუზიურად სპონსორს ეკუთვნის. სურვილისამებრ ბანერი მოსაუბრე ავატარად იქცევა.

6 AI ასისტენტის ხსენება — მხოლოდ სპონსორი

როცა მკითხველი კატეგორიის ნიუსზე ხმოვან საუბარს იწყებს, ასისტენტი თქვენს კომპანიას ამ თემის სპონსორად ასახელებს.

Facebook — News.Ge-ის გვერდი

ყველა პაკეტი · უფასოდ

ყოველი სარეკლამო სტატია გამოქვეყნებიდან რამდენიმე წუთში ავტომატურად ზიარდება News.Ge-ის Facebook გვერდზე (140 000+ გამომწერი), თქვენი გვერდის მონიშვნით — „Paid partnership“. დამატებითი გადასახადის გარეშე.

ბონუსი ყველა სარეკლამო ნიუსზე: ბარათზე არის მიკროფონის ღილაკი — მკითხველს შეუძლია, თქვენი სტატიის თემაზე AI ასისტენტს ხმით ესაუბროს.

ყველა ფორმატი და ფასი

ფასები ლარშია და **დღგ-ს ჩათვლით**. ნიუსების ფასი ყველა კატეგორიაში ერთია; სპონსორობა ნიუსების პაკეტს ემატება; 6+ და 12+ თვიან ხელშეკრულებაზე AI ფორმატებს სპეციალური პირობები აქვს.

ფორმატი	რას მოიცავს	ფასი
სარეკლამო ნიუსები — ერთი ფასი ყველა კატეგორიაში		
ერთი სარეკლამო ნიუსი	ჩვენება საიტის 4 ზონაში · ხმოვანი AI ღილაკი	**180 ₾** ერთჯერადად
5 სარეკლამო ნიუსი	კვირაში 1–2 ნიუსი · 110 ₾ ერთ ნიუსზე	**550 ₾** თვეში
10 ნიუსი — „PR სტანდარტი“	კვირაში 2–3 ნიუსი · 85 ₾ ერთ ნიუსზე	**850 ₾** თვეში
15 სარეკლამო ნიუსი	აქტიური PR · ≈ 73 ₾ ერთ ნიუსზე	**1 100 ₾** თვეში
30 სარეკლამო ნიუსი	ყოველდღიური ყოფნა · 60 ₾ ერთ ნიუსზე — საუკეთესო ფასი	**1 800 ₾** თვეში
სპონსორობა		
სპონსორის საფასური, Tier A	პოლიტიკა, ეკონომიკა, ტექნოლოგიები, საზოგადოება · ექსკლუზიური ბანერი + გამოცხადება ხმოვან ჩატში · ემატება 10/15/30 ნიუსს	**+900 ₾** თვეში
სპონსორის საფასური, Tier B	მსოფლიო, სხვადასხვა · იგივე შემადგენლობა	**+650 ₾** თვეში
„დღის მიმოხილვის“ აუდიო-სპონსორობა	ექსკლუზიურად ერთ ბრენდზე · ~60 გამოშვება თვეში · ხმოვანი შესავალი + ლოგო პლეერზე	**2 200 ₾** თვეში
ვიდეოავატარი და ხმოვანი AI		
სპონსორის ვიდეოავატარი	ბანერი იქცევა მოსაუბრე AI პერსონაჟად · 6+ თვიან ხელშეკრულებაზე 1 900 ₾	**+2 200 ₾** თვეში
ავატარის MCP ინტეგრაცია	ცოცხალი მონაცემები API/CRM-იდან · 6+ თვიან ხელშეკრულებაზე უფასოდ	**1 800 ₾** ერთჯერადად
ბრენდის საკუთარი პერსონაჟი	ბენის, კაის ან ლეოს ნაცვლად · 12+ თვიან ხელშეკრულებაზე უფასოდ	**1 200 ₾** ერთჯერადად
კორპორატიული ხმოვანი ბოტი MCP-ით	ცალკე ასისტენტი თქვენი კომპანიისთვის · 6+ თვიან ხელშეკრულებაზე 2 000 ₾	**2 500 ₾** თვეში

Facebook უფასოდ: ყველა სარეკლამო სტატია ავტომატურად ზიარდება News.Ge-ის Facebook გვერდზე (140 000+ გამომწერი), დამატებითი გადასახადის გარეშე.

გახდით თემის სპონსორი

სპონსორობა ნიუსების პაკეტს და სპონსორის საფასურს აერთიანებს. საფასურში შედის ექსკლუზიური ბანერი კატეგორიის გვერდზე და მის ყველა ნიუსზე და სპონსორის გამოცხადება ხმოვან ჩატში — 100% Share of Voice კატეგორიაში.

10 ნიუსი + სპონსორობა

„თემის ლიდერი“

1 750 ₾ / თვე

Tier A: პოლიტიკა, ეკონომიკა, ტექნოლოგიები, საზოგადოება

1 500 ₾
Tier B: მსოფლიო, სხვადასხვა

- 10 სარეკლამო ნიუსი თვეში
- ექსკლუზიური ბანერი კატეგორიაში
- სპონსორის გამოცხადება ხმოვან ჩატში

ვისთვის: თემასთან ასოცირებისთვის და რეგულარული PR-ისთვის.

მთავარი შეთავაზება

15 ნიუსი + სპონსორობა

სპონსორი „სტანდარტი“

2 000 ₾ / თვე

Tier A: პოლიტიკა, ეკონომიკა, ტექნოლოგიები, საზოგადოება

1 750 ₾
Tier B: მსოფლიო, სხვადასხვა

- 15 სარეკლამო ნიუსი თვეში
- ექსკლუზიური ბანერი კატეგორიაში
- სპონსორის გამოცხადება ხმოვან ჩატში

ვისთვის: ბრენდებისთვის, რომელთაც სურთ, თემის „სახე“ გახდნენ.

30 ნიუსი + სპონსორობა

სპონსორი „პრემიუმი“

2 700 ₾ / თვე

Tier A: პოლიტიკა, ეკონომიკა, ტექნოლოგიები, საზოგადოება

2 450 ₾
Tier B: მსოფლიო, სხვადასხვა

- 30 სარეკლამო ნიუსი თვეში
- ექსკლუზიური ბანერი კატეგორიაში
- სპონსორის გამოცხადება ხმოვან ჩატში

ვისთვის: მაქსიმალური ყოფნისთვის — ყოველდღე ახალი მასალა.

როგორ ითვლება ფასი

ნიუსების პაკეტი
1 100 ₾
15 ნიუსი

+


სპონსორის საფასური
900 ₾
Tier A

=

სპონსორი „სტანდარტი“
2 000 ₾
თვეში

ნიუსების ფასი ყველა კატეგორიაში ერთია; განსხვავდება მხოლოდ სპონსორის საფასური. **Tier A** — B2B და მაღალი მოთხოვნის კატეგორიები: პოლიტიკა და საზოგადოება ფართო აუდიტორიით, ეკონომიკა და ტექნოლოგიები ფოკუსირებული B2B აუდიტორიით. **Tier B** — მსოფლიო და სხვადასხვა.

ასე გამოიყურება სარეკლამო ნიუსის ბარათი საიტზე



1. **ნიშანი „რეკლამა“** — ყოველთვის ჩანს ფოტოზე
2. **კომპანიის სახელი** — სათაურის ზემოთ
3. **სათაური და მოკლე ტექსტი** — სრული მასალა საკუთარ გვერდზე იხსნება
4. **მიკროფონი** — მკითხველი სტატიის თემაზე AI ასისტენტს ხმით ესაუბრება

„დღის მიმოხილვა ერთ წუთში“ · აუდიო-სპონსორობა

თქვენი ბრენდი — ყოველდღე, ორჯერ, ხმით

news.ge ყოველდღე 13:00-სა და 22:00-ზე აქვეყნებს დღის მთავარი ამბების ერთწუთიან ხმოვან მიმოხილვას. სპონსორობისას ყოველ გამოშვებას წინ უძღვის ჩაწერილი წინადადება **„დღის მიმოხილვას წარმოგიდგენთ [თქვენი ბრენდი]“**, პლეერზე კი ჩანს თქვენი ლოგო „რეკლამის“ მონიშვნით.

თვიური ფასი

2 200 ₾

/ თვე, დღგ-ს ჩათვლით

- ✓ ექსკლუზიურად ერთ ბრენდზე
- ✓ თვეში დაახლოებით 60 გამოშვება
- ✓ სამიზნე: ბანკები, ტელეკომი, დაზღვევა, ავტო-იმპორტიორები

B2B პაკეტები

ოთხი მზა კომბინაცია კორპორატიული კლიენტებისთვის — რეგულარული PR-იდან სრულ AI გადაწყვეტამდე.

რეგულარული კომუნიკაცია

PR სტანდარტი

850 ₾ / თვე

- ✓ 10 სარეკლამო ნიუსი თვეში
- ✓ ჩვენება საიტის 4 ზონაში და მობილურ ნაკადში
- ✓ ხმოვანი AI ასისტენტი ყველა ნიუსზე
- ✓ გაზიარება Facebook-ზე

სპონსორობა + PR

თემის ლიდერი

1 750 ₾ / თვე

Tier B-ში — 1 500 ₾

- ✓ არჩეული კატეგორიის ექსკლუზიური ბანერი ყველა ნიუსზე
- ✓ სპონსორის გამოცხადება ხმოვან ჩატში
- ✓ 10 სარეკლამო ნიუსი თვეში

აუდიო + PR + სპონსორობა

კორპორატიული ხმა

3 200 ₾ / თვე

- ✓ „დღის მიმოხილვის“ ექსკლუზიური აუდიო-სპონსორობა
- ✓ ერთი კატეგორიის ექსკლუზიური სპონსორობა
- ✓ 15 სარეკლამო ნიუსი თვეში

AI Enterprise · Full Stack

მოსაუბრე ბრენდი

4 500 ₾ / თვე

- ✓ კატეგორიის ექსკლუზიური სპონსორობა
- ✓ მოსაუბრე AI ვიდეოავატარი კატეგორიის ყველა ნიუსზე
- ✓ 30 სარეკლამო ნიუსი თვეში
- ✓ **6+ თვიან ხელშეკრულებაზე:** MCP ინტეგრაცია და საკუთარი პერსონაჟი (3 000 ₾) — უფასოდ

07 · როგორ აირჩიოთ

რომელი ფორმატი შეესაბამება თქვენს მიზანს?

დაიწყეთ მიზნიდან და არა ფორმატიდან. ქვემოთ — ყველაზე ხშირი მიზნები და ფორმატი, რომელსაც ასეთ შემთხვევაში გირჩევთ.

ერთჯერადი სიახლე
ღონისძიება, აქცია ან ახალი პროდუქტი, რომელიც ერთხელ უნდა გამოცხადდეს.
→ **ერთი სარეკლამო ნიუსი**

რეგულარული PR
კომპანიას ხშირად აქვს სიახლეები და სურს, მთელი თვე ჩანდეს.
→ **„PR სტანდარტი“**

თემის ლიდერობა
ბრენდი გარკვეულ თემასთან უნდა ასოცირდებოდეს (მაგ. ბანკი — ეკონომიკა).
→ **„თემის ლიდერი“**


ბრენდის ხმა ყოველდღე
ყოველდღიური, ექსკლუზიური ყოფნა ორჯერ დღეში — ხმით და ლოგოთი.
→ **„კორპორატიული ხმა“**

გამორჩეული ფორმატი
ინტერაქცია, რომელიც ყურადღებას იპყრობს და მკითხველს ბრენდთან აკავშირებს.
→ **„მოსაუბრე ბრენდი“**

მომხმარებლის მომსახურება
ავტომატური პასუხები კითხვებზე — ფასით, მარაგით, სამუშაო საათებით.
→ **კორპორატიული ბოტი**

რომელი კატეგორია აირჩიოთ?

გამოქვეყნებული ნიუსები კატეგორიების მიხედვით, ბოლო 30 დღე (2026 წლის 21 სექტემბერი – 20 ოქტომბერი). ერთი ნიუსი შეიძლება ორ კატეგორიაშიც იყოს.




პოლიტიკასა და საზოგადოებაში ბანერი ყველაზე მეტ გვერდზე ჩანს; ეკონომიკა და ტექნოლოგიები ფოკუსირებული B2B აუდიტორიაა — ამიტომ ოთხივე Tier A-შია (**+900 ₾**). მსოფლიო და სხვადასხვა — Tier B (**+650 ₾**).

რჩევა: თუ ჯერ არ ხართ დარწმუნებული, დაიწყეთ ერთი ან 5 ნიუსით. სპონსორობა მოგვიანებით ნებისმიერ დროს შეგიძლიათ დაამატოთ — თუ სასურველი კატეგორია თავისუფალია.

ბრენდი, რომელსაც საუბარი შეუძლია

მკითხველს ნებისმიერ ნიუსზე შეუძლია ხმით ესაუბროს AI ასისტენტს. სპონსორს ასისტენტი ამ საუბარში ასახელებს, ვიდეოავატარი თქვენს კომპანიაზე პასუხობს, კორპორატიული ბოტი კი მხოლოდ თქვენია.



სპონსორობაში შედის

სპონსორის გამოცხადება ხმოვან ჩატში

შედის

როცა მკითხველი კატეგორიის ნიუსზე ხმოვან საუბარს იწყებს, AI ასისტენტი თქვენს კომპანიას ამ თემის სპონსორად ასახელებს. ცალკე არ იყიდება.

ცალკე პროდუქტი

კორპორატიული ხმოვანი ბოტი MCP-ით

2 500 ₾ / თვე

ცალკე ასისტენტი მხოლოდ თქვენი კომპანიისთვის, ავატარის გარეშე, ცოდნის ბაზითა და MCP-ით მიღებული ცოცხალი მონაცემებით. 6+ თვიან ხელშეკრულებაზე — 2 000 ₾.

ვიდეოავატარის დამატებები

MCP ინტეგრაცია და საკუთარი პერსონაჟი

ერთჯერადად

MCP ინტეგრაცია (API, CRM, მარაგები) — **1 800 ₾**, 6+ თვიან ხელშეკრულებაზე უფასოდ. ბრენდის საკუთარი პერსონაჟი — **1 200 ₾**, 12+ თვიან ხელშეკრულებაზე უფასოდ.

MCP მარტივად: Model Context Protocol სტანდარტული „ხიდია“ AI ასისტენტსა და თქვენს სისტემას (მაღაზიის ბაზა, ფილიალები, CRM) შორის: ასისტენტი საუბრისას რეალურ დროში ამოწმებს, მაგალითად, არის თუ არა პროდუქტი მარაგში და რა ღირს დღეს.

AI ფორმატების შედარება

	გამოცხადება ხმოვან ჩატში	სპონსორის ვიდეოავატარი	კორპორატიული ბოტი MCP-ით
რა არის	ასისტენტი კატეგორიის ნიუსებზე საუბრის დასაწყისში გასახელებთ სპონსორად	კატეგორიის ბანერი, რომელიც მკითხველს ესაუბრება	ცალკე ასისტენტი მხოლოდ თქვენი კომპანიისთვის
ვიზუალი	—	ბენი, კაი, ლეო ან საკუთარი პერსონაჟი (1 200 ₾; 12+ თვეზე უფასოდ)	— ავატარის გარეშე
რით პასუხობს	მხოლოდ გამოცხადება	კომპანიის ცოდნის ბაზით	კომპანიის ცოდნის ბაზით
ცოცხალი მონაცემები (MCP)	—	არასავალდებულო: 1 800 ₾ (6+ თვეზე უფასოდ)	✓ **შედის**
რას საჭიროებს	შედის სპონსორობაში	კატეგორიის სპონსორობას	ტექნიკურ შეფასებას
ფასი	**შედის**	**+2 200 ₾ / თვე** 6+ თვეზე 1 900 ₾	**2 500 ₾ / თვე** 6+ თვეზე 2 000 ₾

09 · სპონსორის ვიდეოავატარი

სპონსორი, რომელიც მკითხველს ესაუბრება

კატეგორიის სპონსორის ბანერი ანიმაციურ AI პერსონაჟად იქცევა. ის ჩარჩოს გარეშე დგას გვერდის კუთხეში და მკითხველს ხმით პასუხობს თქვენი კომპანიის შესახებ — თქვენი ცოდნის ბაზით.



ნამდვილი ბანერის ვიზუალი. საიტზე ის კატეგორიის გვერდისა და მისი ნიუსების ქვედა მარჯვენა კუთხეშია.

1 ანიმაციური პერსონაჟი, ჩარჩოს გარეშე
ბენი, კაი, ლეო ან ბრენდის საკუთარი პერსონაჟი — სასურველი სახელით. მაუსის მიტანისას ცოცხლდება.

2 ხმოვანი საუბარი ერთი დაჭერით
მკითხველს პასუხობს თქვენი კომპანიის ცოდნის ბაზით. ფასებს, აქციებსა და დაპირებებს არ იგონებს.

3 თემატური ბმულები
კითხვის თემის მიხედვით ავატარის ქვეშ ჩნდება თქვენი გვერდის ბმული: ონლაინ მაღაზია, სესხის განაცხადი, ფილიალები.

4 ცოცხალი მონაცემები MCP-ით
არასავალდებულო: საუბრისას ავატარი თქვენს სისტემას ეკითხება ფასს, მარაგს ან სამუშაო საათებს.

5 მკაფიო მონიშვნა და საზღვრები
ბანერი მონიშნულია როგორც რეკლამა და AI ასისტენტი. ავატარი მხოლოდ თქვენს კომპანიაზე საუბრობს — სხვა თემებსა და პოლიტიკაზე არა.

როგორ ხედავს ამას მკითხველი

1 ხედავს
კატეგორიის ნიუსის კითხვისას კუთხეში თქვენს პერსონაჟსა და კომპანიის სახელს.

2 ცოცხლდება
მაუსის მიტანისას პერსონაჟი მოძრაობას იწყებს და ყურადღებას იპყრობს.

3 საუბრობს
„დაელაპარაკე“ ღილაკით მკითხველი ხმით სვამს კითხვას და ქართულად იღებს პასუხს.

4 გადადის
თემატური ბმულით პირდაპირ თქვენს საიტზე — მაღაზიაში, განაცხადში, ფილიალების რუკაზე.

პაკეტი „მოსაუბრე ბრენდი“: სპონსორობა + ვიდეოავატარი + 30 ნიუსი

6+ თვიან ხელშეკრულებაზე MCP ინტეგრაცია და საკუთარი პერსონაჟი (3 000 ₾) — უფასოდ

4 500 ₾
თვეში, დღგ-ს ჩათვლით

გრძელვადიანი პირობები

AI ფორმატებზე 6- და 12-თვიანი ხელშეკრულება ფასს ამცირებს, ერთჯერად სამუშაოებს კი უფასოს ხდის.

ფორმატი	სტანდარტული ფასი	6+ თვე	12+ თვე
სპონსორის ვიდეოავატარი	**2 200 ₾** თვეში	**1 900 ₾** თვეში	**1 900 ₾** თვეში
კორპორატიული ხმოვანი ბოტი	**2 500 ₾** თვეში	**2 000 ₾** თვეში	**2 000 ₾** თვეში
ავატარის MCP ინტეგრაცია	**1 800 ₾** ერთჯერადად	**უფასოდ**	**უფასოდ**
ბრენდის საკუთარი პერსონაჟი	**1 200 ₾** ერთჯერადად	**1 200 ₾** ერთჯერადად	**უფასოდ**
პაკეტი „მოსაუბრე ბრენდი“	**4 500 ₾** თვეში	**MCP + პერსონაჟი უფასოდ**	**MCP + პერსონაჟი უფასოდ**

როგორ ვიწყებთ

1. **მოგვწერეთ**
   ფორმით news.ge/advertise-ზე, ელფოსტით ან ტელეფონით. საკმარისია, მიზანი აღწეროთ.
2. **ფორმატის შერჩევა**
   ერთად ვარჩევთ პაკეტს, კატეგორიას და ვამოწმებთ, თავისუფალია თუ არა ის.
3. **შეთანხმება**
   ვაფიქსირებთ განრიგს, მასალებს და — AI ფორმატებისთვის — სცენარსა და ტექნიკურ ფარგლებს.
4. **გაშვება**
   ვაქვეყნებთ ნიუსებს, ვრთავთ ბანერს, ავატარს ან ასისტენტს.
5. **თვის განმავლობაში**
   ნიუსები შეთანხმებული კალენდრით ქვეყნდება; ცვლილებები რედაქციასთან თანხმდება.

რა დაგვჭირდება თქვენგან

სარეკლამო ნიუსებისთვის

- ✓ სათაური და ტექსტი
- ✓ ფოტო — სასურველია ჰორიზონტალური, მაღალი ხარისხის
- ✓ ბმული საიტზე და თქვენი Facebook გვერდი
- ✓ არასავალდებულო: YouTube ან Facebook ვიდეო

სპონსორობისთვის

- ✓ კომპანიის ლოგო და სახელი
- ✓ ბანერის ბმული (საიტი ან გვერდი)
- ✓ სასურველი კატეგორია
- ✓ ავატარისთვის: პერსონაჟი და მისი სახელი

AI ფორმატებისთვის

- ✓ ინფორმაცია კომპანიაზე: პროდუქტები, ხშირი კითხვები, ფილიალები
- ✓ ბმულები თემების მიხედვით
- ✓ რაზე არ უნდა ისაუბროს ასისტენტმა
- ✓ MCP-სთვის: თქვენი სისტემის ტექნიკური წვდომა

11 · პირობები და ხშირი კითხვები

რას ვათანხმებთ დაწყებამდე

ფასები
ლარში, დღგ-ს ჩათვლით, ყოველთვიური; ერთჯერადია ერთი ნიუსი, MCP და საკუთარი პერსონაჟი.

განთავსება და განრიგი
კატეგორია, ბანერის მდებარეობა და ნიუსების გამოქვეყნების კალენდარი წინასწარ თანხმდება.

სარეკლამო გამჭვირვალობა
პარტნიორული მასალა და სპონსორობა მკითხველისთვის ყოველთვის შესაბამისი ნიშნით ჩანს.

ერთი სპონსორი კატეგორიაში
ბანერი ექსკლუზიურია: ერთ კატეგორიაში ერთდროულად ერთი სპონსორი. ხელმისაწვდომობას რედაქცია ადასტურებს.

AI პროექტების ფარგლები
MCP კავშირები, ცოდნის წყაროები, თემატური ბმულები, პერსონაჟი და სცენარი ტექნიკური შეფასების შემდეგ ფიქსირდება.

AI-ის საზღვრები
ასისტენტი პასუხობს მკაცრად შეთანხმებული ცოდნის ბაზისა და MCP-ის ფარგლებში; სხვა კითხვებზე კომპანიის ოფიციალურ არხებზე ამისამართებს.

ხშირი კითხვები

შემიძლია, თავად ავირჩიო კატეგორია?
დიახ, თუ ის თავისუფალია. ერთ კატეგორიაში ერთი სპონსორია და ბანერიც მხოლოდ მას აქვს.

რატომ განსხვავდება ფასი კატეგორიების მიხედვით?
Tier A (პოლიტიკა, ეკონომიკა, ტექნოლოგიები, საზოგადოება) ყველაზე მოთხოვნადი და B2B კატეგორიებია. ნიუსების ფასი ყველგან ერთია.

რა ენაზე საუბრობს ასისტენტი და ავატარი?
ქართულად. პასუხობს მხოლოდ შეთანხმებული ცოდნის ბაზით და სხვა თემებზე არ გადადის.

MCP ინტეგრაცია თვიურ ფასს ზრდის?
არა. ის ერთჯერადად 1 800 ₾ ღირს, 6+ თვიან ხელშეკრულებაზე კი უფასოა.

როგორ ხვდება მკითხველი, რომ მასალა სარეკლამოა?
ბარათზე ყოველთვის წერია „რეკლამა“, ბლოკს ჰქვია „სარეკლამო სტატიები · პარტნიორული კონტენტი“, ბანერზე კი — „კატეგორიის სპონსორი · რეკლამა“.

რით განსხვავდება სპონსორობა ნიუსების პაკეტისგან?
სპონსორს ნიუსებთან ერთად ბანერი აქვს და AI ასისტენტი მას ხმოვან ჩატში ასახელებს. მზა B2B პაკეტები მე-7 გვერდზეა.

ვინ ამზადებს სარეკლამო ნიუსის ტექსტს?
როგორც წესი, ტექსტსა და ფოტოს თქვენ გვაწვდით. ფორმატი, მონიშვნა და გამოქვეყნების დრო რედაქციასთან თანხმდება.

რატომ გჭირდებათ ჩვენი Facebook გვერდი?
სტატია Facebook-ზე თქვენი გვერდის მონიშვნით („Paid partnership“) ქვეყნდება — ამას Meta-ს წესები მოითხოვს.

12 · დაგვიკავშირდით

მოდით, შევარჩიოთ ფორმატი, რომელიც თქვენს მიზანს ერგება

მოგვწერეთ სასურველი ფორმატი ან უბრალოდ აღწერეთ მიზანი — მოთხოვნა პირდაპირ news.ge-ის სარეკლამო გუნდთან მოხვდება.

სარეკლამო მოთხოვნის ფორმა
news.ge/advertise

ელფოსტა
contact@news.ge

ტელეფონი
+995 550 00 30 36

შპს ნიუსჯი მედია (News.ge Media LLC) · ს/კ 405218731 · თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №49

news.ge